სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო

ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მიერ

2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში:

9, 12, 13, 14, 15, 16, 20, 21, 22, 23 იანვარი 2022 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
პ.ჩაიკოვსკის ბალეტი "მაკნატუნა"
მონაწილეობდნენ სწავლების VIII წლის მოსწავლეები.

17 იანვარი 2022 წელი

ტრენინგი კლასიკური ცეკვის ელემენტების გამოყენება ისტორულ ყოფით ცეკვაში.

მონაწილეობდნენ სწავლების II და III წლის მოსწავლეები.

27 იანვარი 2022 წელი

ქართულ ცეკვის პედაგოგების მიერ ჩატარებული ერთობლივი გაკვეთილი.
მონაწილეობდნენ სწავლების V წლის მოსწავლეები.

9 თებერვალი 2022 წელი

სასწავლებელში ჩარატდა მასტერ კლასი კლასიკურ ცეკვაში პედაგოგებისათვის.
მონაწილეობდნენ სწავლების VII, VIII წლის მოსწავლეები.

15 თებერვალი 2022 წელი

სასწავლებლის პედაგოგმა ნინო ხურცილავამ ჩაატარა ლექცია -სემინარი თემაზე შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ.
მონაწილეობდნენ სწავლების V, VI, VII წლის მოსწავლეები

17-20 თებერვალი 2022 წელი

17 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით მიმდინარეობდა მოსკოვის VIII საერთაშორისო კონკურსი ახალგაზრდა შემსრულებლებისათვის კლასიკურ, თანამედროვე და სახასიათო ცეკვებში, სადაც მონაწილეობა მიიღო სასწავლებლის სწავლების მერვე წლის მოსწავლემ.

27 თებერვალი 2022 წელი

მთაწმინდის პანთეონი.
კლასიკური ქართული ბალეტის ფუძემდებელის ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 112 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
მონაწილეობდნენ სწავლების პირველი წლის მოსწავლეები.

5 მარტი 2022 წელი

სასწავლებელში გაიმართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სწავლების VIII წლის მოსწავლეების მიერ შექმნილი ნახატები, მათ იმუშავეს თემაზე "თანამედროვე აზროვნება" ინსპირაცია კი გახდა დღევანდელი ყოფა , თუ რამდენად არის თანამედროვე ადამიანი ჩართული სოციალურ ქსელში და ვირტუალურ სამყაროში.

6 მარტი 2022 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
პ.ჩაიკოვსკის ბალეტი "გედების ტბა"
მონაწილეობდნენ სწავლების I, II, III, IV, V წლის მოსწავლეები.

7 მარტი 2022 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ლექცია - სემინარი თემებით : "ქალის კულტი საქართველოში და „ქალის როლი თანამედროვე საზოგადოებასა და ხელოვნებაში"
მონაწილეობდნენ სწავლების I, II, III, IV, V წლის მოსწავლეები.

21 მარტი 2022 წელი

მასტერ კლასი თანამედროვე ცეკვაში.
მონაწილეობდნენ სწავლების V წლის მოსწავლეები.

8, 10 აპრილი 2022 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
პ.ჩაიკოვსკის ბალეტი "გედების ტბა"
მონაწილეობდნენ სწავლების I, II, III, IV, V წლის მოსწავლეები.

9 აპრილი 2022 წელი

სასწავლებელში ჩატარდა 9 აპრილთან დაკავშირებით ლექცია - სემინარი , თემით საქართველოს ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობა.
მონაწილეობდნენ სწავლების V წლის მოსწავლეები.

13 აპრილი 2022 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ლექცია - სემინარი, თემით არტთერაპია. არტთერაპია არის ექსპრესიული ტერაპიის ერთ-ერთი სახე, რომელიც ხელოვნებას იყენებს იმისთვის, რომ გამოასწოროს პიროვნების ფიზიკური, მენტალური და ემოციური მდგომარეობა. არტთერაპია ადამიანებს საშუალებას აძლევს გამოხატოს მათთვის არასასიამოვნო განცდები სოციალურად მისაღები ფორმით , ხელოვნების სხვადასხვა საშუალებებით : ხატვით, ძერწვით, მუსიკით და ა.შ არტთერაპია. ადამიანებს ეხმარება გადალახონ დადგენილი საზღვრები და შექმნან მათთვის სასურველი რეალობა. მონაწილეობდნენ სწავლების VI წლის მოსწავლეები.

20 აპრილი 2022 წელი

საჩვენებელი გაკვეთილი ისტორიულ ყოფით ცეკვაში
მონაწილეობდნენ სწავლების III წლის მოსწავლეები.

5 მაისი 2022 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ტრენინგი ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით, აგრეთვე შშმ პირების კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის მნივნელობაზე.

მონაწილეობდნენ სწავლების VI და VIII წლის მოსწავლეები.

3, 14, 15 მაისი 2022 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. პრემიერა. ალექსი მაჭავარიანის ბალეტი "ოტელო"

მონაწილეობდნენ სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.

17 მაისი 2022 წელი

ქორეოგრაფ ტანია ფატეევას და სასწავლებლის პედაგოგის ერთობლივი პერფორმანსი "იმპროვიზაციული ამოცანები"

მონაწილეობდნენ სწავლების VIII წლის მოსწავლეები.

18, 19, 20, 21, 22 მაისი 2022 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
პრემიერა. ალექსი მაჭავარიანის ბალეტი "ოტელო"
მონაწილეობდნენ სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.

24 მაისი 2022 წელი

სასწავლებელში ჩატარდა დამამთავრებელი გამოცდები და ამაჟად მიმდინარეობს წლიდან -წელზე გადასაყვანი გამოცდები.

1 ივნისი 2022 წელი

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სასწავლებელში ჩატარდა ლექცია სემინარი თემით "ბავშვთა უფლებები და მათი კეთილდღეობა"
მონაწილეობდნენ სწავლების V წლის მოსწავლეები.

8 ივნისი 2022 წელი

სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში 2021-2022 სასწავლო წელი სრულდება მიმდინარე წლის 15 ივნისს. ამჟამად სასწავლებელში მიმდინარეობს შემდეგი აქტივობები:

- სწავლების პირველ წელზე და მოსამზადებელ ჯგუფებში მისაღები გამოცდები;
- სწავლების მეექვსე წელზე შესარჩევი ტურები (განხრების მიხედვით).

11, 12, 14, 15 ივნისი 2022 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
სერგეი პროკოფიევი. ბალეტი "რომეო და ჯულიეტა"
მონაწილეობდნენ სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.

1 ივლისი 2022 წელი

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეთა საკონცერტო პროგრამა ოპერისა და ბალეტის თეატრში, ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით.
საკონცერტო პროგრამას ესწრებოდა ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების უცხოელი და ქართველი წარმომადგენლები.

5 ივლისი 2022 წელი

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებელს ესტუმრა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ენსინიტას ბალეტის აკადემიის სამხატვრო ხელმძღვანელი საიატ ასატრიანი, მან სასწავლებლის მოსწავლეებს ჩაუტარა მასტერ-კლასი წყვილთა ცეკვაში.

11 ოქტომბერი 2022 წელი

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით და დაფინანსებით სასწავლებელში მიმდინარეობს ქართული ლიტერატურის ბუმბერაზი კლასიკოსის, პოეტის და მწერლის ვაჟა - ფშაველას ნაწარმოების - "ჩხიკვთა ქორწილის" მიხედვით საბალეტო სპექტაკლის დადგმითი რეპეტიციები. რეპეტიციების დადგმა ხორციელდება ცნობილი ბალეტის მსახიობის და ქორეოგრაფის ალექსანდრე ფადეევჩის ხელმძღვანელობით. სასწავლებლის ისტორიაში ეს იქნება ქართული ნაწარმოების მიხედვით საბალეტო სპექტაკლის დადგმის პირველი მცდელობა და კიდევ ერთი წარმატებული პროექტი, რომლის საშუალებითაც მოხდება ქართული საბალეტო სკოლის წარმოჩენა და პოპულარიზაცია. მონაწილეობდნენ სწავლების III, IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.

19 ოქტომბერი 2022 წელი

სასწავლებლის პედაგოგის მიერ ჩატარდა მასტერკლასი თემით - რითმის როლი დინამიკური ხელოვნების დარგებში.
მონაწილეობდნენ სწავლების II წლის მოსწავლეები.

31 ოქტომბერი 2022 წელი

სასწავლებელის პედაგოგის მიერ ჩარტდა ლექცია სემინარი , თემით -ბავშვთა უფლებები და მოვალეობები.
მონაწილეობდნენ სწავლების VI, VII წლის მოსწავლეები.

9 ნოემბერი 2022 წელი

სასწავლებლის პედაგოგის მიერ ჩატარდა მასტერკლასი სახასიათო ცეკვაში დამწყები პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის.
მონაწილეობდნენ სწავლების V წლის მოსწავლეები.

15 ნოემბერი 2022 წელი

მასტერკლასი ქართულ ცეკვაში.
მონაწილეობდნენ სწავლების II წლის მოსწავლეები.

21 ნოემბერი 2022 წელი

სასწავლებლის პედაგოგმა ჩაატარა მასტერკლასი მსახიობის ოსტატობაში.
თემა - მსახიობის ოსტატობის ელემენტები ბალეტში.
მონაწილეობდნენ სწავლების VI წლის მოსწავლეები.

დეკემბერი 2022 წელი

ბალეტმაისტერის ასისტენტის ტატიანა რასტორგუევას ხელმძღვანელობით, ოპერისა და ბალეტის თეატრში 2022 წლის 21 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, მიმდინარეობდა რეპეტიციები საბალეტო სპექტაკლისათვის - "ჩხიკვთა ქორწილი" (ვაჟა - ფშაველას ნაწარმოების - მიხედვით) , რომელიც დადგა ქორეოგრაფმა ალექსეი ფადეეჩევმა. მონაწილეობდნენ სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი, პედაგოგები და 150 - მდე

მოსწავლე.

9 დეკემბერი 2022 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ლექცია - სემინარი, თემაზე — წერილები ხელოვნებაზე. მმონაწილეობდნენ სწავლების III წლის მოსწავლეები.

14 დეკემბერი 2022 წელი

სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მოწვევით პორტუგალიელმა ბალეტის მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა პედრო კარნეირომ, 1-14 დეკემბერს ჩაატარა მასტერკლასები კლასიკურ და წყვილთა ცეკვებში.

მონაწილეობდნენ სასწავლებლის პედაგოგები, კონცერტმაისტერები და სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.

4, 5, 6 ნოემბერი 2022 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
ადოლფ ადანის ბალეტი "ჟიზელი“
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე- VI, VII და VIII წლის მოსწავლეები.

17 დეკემბერი 2022 წელი

სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მოწვევით პორტუგალიელმა ბალეტის მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა პედრო კარნეირომ კიდევ ერთხელ ჩაატარა მასტერკლასები კლასიკურ და წყვილთა ცეკვებში. მასტერკლასს ესწრებოდნენ ბალეტის მოყვარულთა საზოგადოების წევრები, საელჩოების და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.
მონაწილეობდნენ სასწავლებლის პედაგოგები, კონცერტმაისტერები და სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.

19 დეკემბერი 2022 წელი

სასწავლებლის პედაგოგებმა ჩაატარეს ღია გაკვეთილი კლასიკურ და ქართულ ცეკვაში. მონაწილეობდნენ მოსამზადებელი ჯგუფის I, II კლასის მოსწავლეები.